

572 /
1959 / 2

276

დედა

აქველი, ტურბა ჰაბიჯი,
ივანე შანიანი,
და მკვირ, ქართული, სწავლათა
სამსახურის ეკაბარეთა

№ 1

საბავშვო ჟურნალი საქართველოს საბავშვო
და ო. ი. ბენიანი საბავშვო ორგანიზაციის
ორგანიზაციის რედაქციის მიერ

თბილისი
1959

572/2



30



პროექტორი კაკო შანიძე

ნახატები ლ. შანგილაძის



ქვაზე

ერა შეიძლება ბევრ რამეზე: ქვაზე, თიხის ქურქელზე, ხეზე, ტყავზე, ლითონზე.

საქართველოში ძველად ძალიან გავრცელებული იყო წერა ქვაზე. ძველს ტაძრებზე, რომლებიც ბლომად მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მრავალი წარწერაა ამოკვეთილი, რომლებითაც წარსულის ამბებს ვიგებთ.

კარგად ცნობილია, მაგალითად, წარწერა ბოლნისის ტაძარზე, რომელიც მე-5 საუკუნეშია აშენებული. ბოლნისის ტაძარი არის თბილისის სამხრეთით 80-ოდე კილომეტრით დაშორებული. ტაძარზე სამი წარწერაა. ერთი მათგანი თბილისშია მოტანილი და მუზეუმშია დაცული.

ეს წარწერები უძვირფასესი განძია ჩვენთვის, რადგანაც იგია უძველესი ნიმუშები ქართული ენისა და ქართული წერისა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, იცოდნენ, თუ როგორ წერდნენ და როგორ ლაპარაკობდნენ ჩვენი ძველები ათას ექვსასი წლის წინათ!


ამგვარივე ხასიათის წარწერებია მცხეთაში მაღალ კლდეზე გადმოდგარ ჯვრის საყდარზე, მაგრამ ის ცოტა მოგვიანო ხანისაა (მე-7 საუკუნის I ნახევრისა).

მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსი ქვის შენობაა სოფელ ატენში, გორიდან 8 კილომეტრის მანძილზე. აქ ერთი წარწერა წამლით არის დაწერილი შიგნით კედელზე და 853 წლის ამბებს მოგვითხრობს: ბულა თურქმაო, ნათქვამია იქ, 5 აგვისტოს, შაბათ დღეს, თბილისი დაწვაო.

ბაგრატიის ტაძარზე ქუთაისში ამოკვეთილია წარწერა, რომელიც გვატყობინებს, რომ ტაძრის აგება დასრულებულა მე-11 საუკუნის დასაწყისში.

ამ ხუთიოდე წლის წინათ საკვირველი ამბავი მოხდა. პალესტინაში არის ქალაქი იერუსალიმი, სადაც ძველად ბევრი ქართველი მიდიოდა და ზოგი იქ რჩებოდა. ამ ქალაქიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით არის პატარა დაბა-ქალაქი ბეთლემი. ამ ბეთლემის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრა დაუწყიათ და გამოუჩენიათ ტაძრის ნანგრევები. როცა გაუსუფთავებიათ, უნახავთ, რომ იატაკი დაგებული ყოფილა ფერადი კენჭებისაგან. კენჭებით მოსხმულ ასეთ ნაკეთობას ჩვეულებრივ მოზაიკას ეძახიან. იატაკის წინა მხარეს წარწერა აღმოჩენილა, ისიც მოზაიკურად გაკეთებული და ჩარჩო-შემოვლებული. წარწერა მშვენიერად შენახულა და კარგად იკითხება.

მაგრამ იცით, რა ენაზე იკითხება? — ქართულად. დიხ, ქართულად. ოღონდ ბეთლემის წარწერა ძველი ქართული ასოებით არის შესრულებული. ეს ასოები ძალიან მოგვაგონებს ბოლნისის ტაძრის ასოებს. წარწერა გვატყობინებს, რომ კენჭების მომსხმელია იოსიაო (ე. ი. მოზაიკა გააკეთა იოსიამაო). ტაძარი მე-6 საუკუნეში ყოფილა ქართველების მიერ აშენებული.



7738



ქ

მტრატუპ

ქვა მიძივა და ხელში ასაღებად ან სხვაგან წასაღებ-
წამოსაღებად არ ვარგა. წიგნებს ქვისაგან ვერ გააკეთებ.
ამისათვის საუკეთესო საშუალებად აღმოჩნდა ტყავი, საგან-
გებოდ დამუშავებული — ცხერისა, თხისა, ირმისა, ხბოსი.
ძველი ქართული ხელნაწერები მე-10 საუკუნემდის თითქმის
ყველა ტყავზეა ნაწერი.


ახლად გახდილ ტყავს გასწმენდნენ ბეწვისაგან, გაასუ-
ფთავებდნენ და გააშრობდნენ, შემდეგ დაჭრიდნენ თანა-
ბარ ფურცლებად, გაკეცავდნენ, რვეულებს შეადგენდნენ

და რვეულებისაგან—წიგნებს. ასეთ ტყავს, საწერად გამო-
ყენებულს, ეტრატს ვეძახით. ეტრატი კარგია, მეტადრე
ქორფა ცხოველისა, მაგრამ ძვირი. ოთხას ფურცლიანი
წიგნისათვის კაი ფარა იყო საჭირო 200-ოდე ცხვრისაგან
შემდგარი.

ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, რომ ძველი ეტრატის
წიგნის ფურცლებს, ზოგჯერ ომში ნაშოვარს, გადარეცხ-
დნენ, გადაფხეკდნენ და ხელახლად გამოიყენებდნენ საწე-
რად. თუ კარგად გადაფხეკილი არ არის, ქვედა ნაწერის
წყაითხვაც შეიძლება. ამგვარ ეტრატს, ორჯერ გამოყენ-
ებულს საწერად, პალიმფესტს ვეძახით. პალიმფესტები
ბლომად მოგვეპოვება თბილისშიც.

იერუსალიმში დაუწერიათ 864 წელს და სინას მთის-
თვის შეუწირავთ ეტრატის წიგნი, რომელიც დღესაც სინას
მთაზეა დაცული (ეგვიპტეში). იგიც ძველი ასოებით არის
დაწერილი და შეიცავს 50-იოდე თხზულებას სხვადასხვა
ავტორისას. მას მრავალთავს ვეძახით, იგი იმდროინდელი
ქრესტომათიაა. ეს ხელნაწერი იმით არის ძვირფასი, რომ
ვტყობილობთ, თუ როგორი იყო ქართული სალიტერა-
ტურო ენა მე-9 საუკუნეში, რა სიტყვები იხმარებოდა და
რა ფორმები. იგი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რა ცვლი-
ლება განიცადა ქართულმა ენამ ოთხ-ნახევარი საუკუნის
განმავლობაში, ბოლნისის წარწერების შემდეგ.

ქალაქის შემოღების შემდეგ ტყავის გამოყენება
საწერ მასალად თანდათან შემცირდა, თუმცა კი ზოგიერ-
თი რამ მაინც ეტრატზე იწერებოდა; მაგალითად, ხელ-
მწიფის შეწირულებანი, სხვადასხვა სიგელი და სხვა საბუ-
თები. ვრეკლე მეფემ რომ რუსეთთან ხელშეკრულება
დადო, ეს ხელშეკრულება ეტრატზეა დაწერილი და არა
ქალაქზე, თუმცა იმ დროს კარგი ხარისხის ქალაქიც
იშოვებოდა.



ჭილჭე

სრის სხვანაირი საწერი მასალაც, რომელსაც კილს ვეძახით. კილს საქართველოში მაინცადამაინც დიდი გასაქანი არ ჰქონია, მაგრამ კილზე დაწერილი ქართული წიგნებიც მოიპოვება. კილი—ეს არის ქაობის მცენარე, რომელიც ბლომად მოიპოვებოდა ეგვიპტეში და რომელსაც ზოგიერთები პაპირუსს ეძახიან. მისგან საგანგებო წესით ამზადებდნენ საწერ მასალას, რომელიც ქალაქსა ჰქავს. კილისაგან დამზადებული ფურცლები სუსტია, ადვილად ტყდება და იფშენება.

პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი 1883 წელს იყო სინას მთაზე, იერუსალიმში, შემდეგ ათონის მთაზეც გამოიარა (საბერძნეთში) და აწერა იქაური ქართული ხელნაწერები. სინას მთაზე მან იპოვა ქართული წიგნი, მთლად კილზე დაწერილი, რომლის ნაწილი სანახევროდ დაქუცმაცებული ყოფილიყო და ფურცლის ნაფლეთები ცალკე ჰქონდათ გამოკრული ქსოვილის ნაჭერში. ამ წიგნის ორი ფურცელი სინას მთიდან წამოვიდა ცაგარელზე აღრე ერთ რუს მეცნიერს და ამჟამად ინახება ლენინგრადის ერთ დიდ ბიბლიოთეკაში, რომელიც სალტიკოვ-შჩედრინის სახელობისაა.

კილი სუსტია და ადვილად იხევა, მაგრამ იგი იაფი იყო და ამიტომ მას ადვილად არ ელეოდნენ. ერთი ქართული წიგნი ყოფილა სინას მთაზე ნაწილობრივ კილზე და ნაწილობრივ ეტრატზე დაწერილი. მაგრამ თვითველ რვეულში ფურცლები ისე გაურევიათ ერთმანეთში, რომ ეტრატის ფურცლებს კილის ფურცლები დაეცვა გაფუჭებისაგან. ეს წიგნი სინადან პეტერბურგს წაეღოთ და იქ ინახებოდა 1923 წლამდე. მერმე იგი საქართველოს გადმოსცეს და ახლა თბილისშია დაცული.

ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებული საწერი მასალაა ქალაქი: წიგნი, გაზეთი, რვეული, უბის წიგნაკი, დავთარი და სხვა—ყველა ეს ქალაქისაა.



ბაკური ბაკურიანში


ქარი თუ რკინის თვლების
კაკუნი არი,
სადაც არის, გამოჩნდება
ბაკურიანი.
უნჯარას რომ არ შორდება,
ბაკური არი,
ორთქლმუვალმა. დაიყვირა:
-ბაკური-ანიი!
მიწა თოვლის არტახებში
გაკრული არი,
თბილი გულით ხვდება ბავშვებს
ბაკურიანი.

ნახატი მ. რკინიგზაზე

თ. ჯანაშვილი

თოვლი

ხელში თხილამურებით
და ფეხების ბაკუნით
სასრიადოდ მინდორზე
გამოვიდა ბაკური.
თხილამური მოირგო.
გასრინადა მაშინვე,
თქვა: ყოჩალი ბიჭი ვარ,
ვერაფერი მაშინებს.
მაგრამ ტყის პირს ერთი ხე,
ტოტეზბადაკაველი,
სად იყო და სად არა,
წინ დაუდგა ბაკურის.
— ხეო, განზე გადქეი.
არ გეგონო ჯაბანი! —
მაგრამ ბიჭმა ნამქერში
მოადინა ტყაბანი.
და აცნობა ყველა ხეს
ხეკაკუნამ კაკუნით:
— რა ყოფილა ეს რცხილა,—
გზა არ მისცა ბაკურის!



იხვის ოკი ჭუჭული



1. ხილ ჩინი ბალახს თიბავდა. უცბად კოკიხპირული წვიმა წამოვიდა. ხილ ჩინმა კალათი ზურგზე მოიგდო და შინისაკენ მოჰქურცლა.



2. გზაზე წვიმისაგან გაწუწულ იხვის ორ კუჭულს მოჰკრა თვალი, რომლებიც საბრალოდ ყვობ-ყვობებდნენ: ყვობ, ყვობ!



3. ხილ ჩინს შეეცოდა იხინი და კალათში ჩასხა.



4. ხახლში რომ დაბრუნდა, ამოიყვანა და ჭიაყელებით გაუმასპინძლდა.

5. წვიმამ გადაიღო. ხილ ჩინმა გარეთ გაიხედა, წყელით ხელში მიშავალი ქალი დაინახა და გაიფიქრა: უთუოდ კუჭულებს დაეცხოს.



6. ბავშვმა იცნო თავისი მასწავლებელი ჩინი და გადახცა მას დაპურებული კუჭულები. — გმადლობთ, ხილ ჩინ, შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ! — უთხრა მასწავლებელმა.



წერილი საქართველოდან

შვირფასო ჩინელო ძეგობრებო!

დიდი სანია გვიანდ თქვენი გაცნობა და აი, გადაწყვეიტეთ, წერილი მოგწეროთ. თან ჩვენი ჯგუფის სურათსაც კი გსაგვინოთ. ჩვენი საბავშვო ბაღი ძალიან ღამაზია. ეს შენობა თურმე ყოფილბა საბავშვო ბაღელებმა ააკეს, რომლებიც ახლა ინჟინრები და არქიტექტორები არიან.

გიტსაგვინოთ აგრეთვე ჩვენებურ ტკბილეულს. აი, ეინულის ლოლუებივით გრძელი და თეთრად დაშაქრული რომ არის, ამით ჩურჩხელები ჰქვია,—ჩვენ თვითონ დავამზადეთ. ესენი კი ჩვენებური კაკალი, თხილი, ვამლი, მსხალი, კომში და ფორთოხალია. მოგწერეთ, როგორ მოგპწონებათ.

ქართველ ბავშვებს ძალიან გვიყვარს „ჩიტი და ძელას“ სღანარი. თქვენც

ახსეთ ეს წიგნი. თუ ვერ წაივითხვოთ, სურათებითაც შეიძლება მიხვდეთ მის შინაარსს.

ახლა ძალე დადგება სამთარი. ჩვენს საბავშვო ბაღში ნამვის ხეს მოვაწყოთ. გასართობი ძალიან, ძალიან ბეგრი გვექნება.

გადეცით თქვენს აღმსრდელებს ზატივისცემით ჩვენი საღამი. მოუთმენლად ველით თქვენს წერილს. ივაგით კარგად. თქვენი ძეგობრები—უფროსი ჯგუფის ბავშვები.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
თბილისი, ვაღლიაძვილის ქ. № 34
ზირველი საბავშვო ბაღი.



ჯასქიჩი ჩინეთიდან

მეირფასო ქართველო მეგობრებო!
თქვენმა სახეუქრებმა და წერილმა მა-
ლიან გავგახსარა. წერილი რომ გადავკი-
თარგმნეს, სისარულით სტუნჯა დავი-
წვეთ, მერე აღმსრდელს შემოავხვიეთ და
ვთხოვეთ, ჰასუხი საჩქაროდ მოეწერა.

თქვენი გამოვსავნილი ტებილეული
ძალიან კემრიელი იყო და დიდი, დი-
დი მაღლობა!

მეტად გვანტერესებს, როგორ აძხა-
დებთ ჩურჩხელებს? სულით და გულით
შევეცდებით, ჩვენც ვისწავლოთ მათი გა-
კეთება, მერე კი გამოვიგნავნით და შე-
გვარტობინეთ, მოგეწონებათ თუ არა!

მოდით, დაგძეგობრდეთ. დაე, ჩვენი
მეგობრობა მარადი იყოს. თქვენი ფო-
ტოსურათი უკვე ჰკიდა ჩვენი ჯგუფში.
ძლიერ ვამაფობთ, რომ თქვენისთანა კარ-
გი მეგობრები გვაყავს.

საუნულოში უკვე დავემძვიდობებით
საბავშვო ბაღს და სკოლაში წავალთ.
როდესაც ჰიონურები გავხდებით, მძინ
კი უთუოდ გესტუმრებით.

თქვენი "ზღაზარი „ჩიტი და ძელა“
ნახატებით ამოვიკითხეთ. კარგი ზღაზა-
რი, ოღონდ არ ვიცით, სწორად გამო-
ვიცანით თუ არა.

როგორ განტარეთ 'სამთრის არდადე-
გები'?

წვეინში უკვე თბილა, ძდინარესე ეი-
ნული განდა, სეებსე იფუქა კვირტებმა.
განავსულის ჰირველი უვაილები უკვე
გაბიძალა. თქვენი გამოსავსუულდა თუ
არა?

კივსავნით ცოტაოდენ ჩვენებურ
ტებილეულს. მართალია, ჩვენი ნახელა-
ვი არ არის, მაგრამ სულით და გულით
მოძღვნილია.

კისურვებთ ბედნიერებას და სიკეთეს.
უფროსი ჯგუფის ბავშვების დავა-
ლებით—აღმსრდელი ვან-მი-ფინი.

ჩვენი მისამართი:
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა
ჰეკინი, ღუნ-სი-ციუ
წირველი საბავშვო ბაღი.

როგორ გადაურჩა ხიფათს ბაყაყი



1. ერთხელ იხვის ქუჭული პა-
ტარა ბაყაყს გამოეიდა.



2. ბაყაყმა ისეკუმა, წყლით სავ-
სე მინის ქილაში ტყაპანი მოა-
ლინა და შივნიდან დიდ ვომბე-
შოდ გამოჩნდა.



3. შივნიხულმა ქუჭულმა
უკან დაიხია.
პატარა მეგობრებო, ზომ არ
იცით, ანუ უცბად რატომ გადი-
და პატარა ბაყაყი?

მელია და ქათამი



1. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქორწილა ქათამი.



2. მის მახლობლად ცხოვრობდა მელია თავისი მელიკოეებით.



3. ერთხელ მამა მელიამ ტომარა აიღო და საშვავარზე წავიდა.



4. იარა, იარა და ქორწილა ქათამი დაიქირა.




5. ტომარაში ჩახვს, ზურგზე მოიგდო და სოროსაკენ გააქანა.



6. ბნელ ტომარაში მოხუჭული ქორწილა ცხარედ ტირილა.



7. უცხად ტომარაში ქორწილამ მაკრატელი იპოვა.



8. გაურა ტომარა და თავი გამოიყუთ.



9. მელას გზაზე ჩაეძინა. ქორწილა ამოძვრა ტომრიდან და შიგ დიდი ქვა ჩახლო.



10. მელია ნადირობიდან შინ დაბრუნდა და ოჯახს ახარა: — იჲ, რა კარგი დედალი დავიჭირეთ!



11. დედა მელიამ წყალი ააღწა. ქვაბში ტომარა რომ გადმოაპირქვავეს, ქათმის ნაცვლად ქვა ჩამოვარდა და ყველა გაიფუჭა.



12. ქორწილა კი ცხოვრობდა არხინად და მელია მის დაჭერას ვეღარ ბედავდა.



ირემი

მ. იოსელიანი

ნახატები მ. ახობაძისა

ჩემი ძმა, რამაზისა და მანანას ბიძა, ჩვენგან შორს, სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. ის ხშირად გვეწერდა წერილებს და რამაზსა და მანანას ბევრ კოცნას უგზავნიდა.

ერთხელ მან კედლის პატარა ხალიც გამოუგზავნა ძმისშვილებს.

კედლის ხალზე მშვენიერი ტყე იყო გამოსახული. ტყის პირას საძოვარი იწყებოდა, სულ წინ კი ახლად რქებატოტილი ლამაზი ირემი იყო ამოხატული. ირემი ნარბენი და ძლიერ დაღლილი ჩანდა, მას წინა ფეხები ეკეცებოდა, ლამაზი თავი უკან გადაეგდო და თითქოს შეეკლას იხსოვდა. ვეება ნაგაზს ირმის უკანა ფეხთან მიედოწია და სადაცა წაველებდა პირს. მეორე, უფრო ჩასუქებული ძაღლი კი თავით დაელას აპირებდა. ძაღლებს ეტყობოდათ, ერთიმეორეზე ბრაზიანები იყვნენ, რადგან კბილები დაეკრიჭათ, ერთ მათგანს კი წითელი ენა გადმოეგდო.

მანანამ ისინი მგლებად მიიჩნია და უფროს ძმას ჰკითხა:

— შექამს?!

რამაზი დაიბნა, ან რა ეთქვა დისათვის, როცა ირემი დაღლილი იყო და შორს ვეღარ წაუვიდოდა ამ ხანადღებულ ორ ბრაზიან ძაღლს, რომელსაც მანანამ მგლები შეარქვა.

მანანა ერთხელ კიდევ დააცქერდა ირმის განწირულ თვალებს და ძმის პასუხს აღარ დაელოდა:

— ვაი, შექამს!..

ეტყობოდა, სხვა გამოსავალი ვერც რამაზმა მოუნახა ირემს და მანაც გულისტკიველით დაუღასტურა:

— შექამს, ხომ იცი...!

ერთ საღამოს ძილი რატომღაც გაუტყდათ ბავშვებს, გვიან ჩაეძინათ. დევწეხით ჩვენც და ის იყო რული მომგვრია, რომ ტირილი მომესმა:

— შექამა, მამიკო, შექამა!..

მე საწოლიდან წამოვიტყვი და მიმოვიხედე. ოთახში არაფერი არ ჩანდა. ავანთე სინათლე, საწოლზე მანანა იჯდა და სლუჟუნებდა:

— შექამა... უშველე, დედიკო! უშველე, მამიკო!

მანანა დედამ აიყვანა, მე ხელში კარების ურდული ავიღე, თუმცა არ გვესმოდა, რამ შეჰქამა ან ვინ შეჰქამა.

რამაზმა გამოიღვია, დას მოუსმინა, თითი კედლის ხალზე დაადო და დაიყვირა:

— აი, ნახე, არ შეუჰქამია!... არა!

ჩვენ კედლის ხალს შევხედეთ. მივხედით, მანანა თურმე იმ ირემზე წუხდა, და დავანახვეთ, რომ ირემი უვნებელი იყო. მანანამ თვალეზი გაახილა, ისიც თითქოს დამშვიდდა.

მაგრამ როცა ეს კიდე განმეორდა, ჩვენ იძულებული ვიყავით ხალი კედლიდან ჩამოგვეხსნა და მანანა დაგვერწმუნებინა, რომ ძაღლები დაეხოცეთ, ცისფერთალებმა დაღლილი პატარა ირემი კი წავედა! წავიდა იმ ტყეში, სადაც თავისი დედიკო და მამიკო ცხოვრობენ.

— არ შეჰქამა, წავიდა?—იკითხა მანანამ.

— ჰო, წავიდა, სულ სირბილით წავიდა,—უხსნიდით ჩვენ; ისიც დავუმატეთ, რომ ირემმა წასვლის წინ დაიბარა, „მანანას სანახავად ისევ მოვალო“. მაგრამ ეტყობოდა, გოგონას მაინც არა სჯეროდა.

ეს ამბავი რამაზისა და მანანას ბიძას მიეწერეთ. მალე პასუხი მივიღეთ. ბიძია რამაზსა და მანანას ბევრ კოცნას უგზავნიდა და ჩვენც გვატყობინებდა, რომ კიდევ ერთი ხალი გამოგზავნა. მართლაც მალე მივიღეთ ხალი და, როცა ბავშვებს ეძინათ, კედელზე ფრთხილად ჩამოვკიდეთ.

ხალზე მშვენიერი ტყე იყო გამოსახული. ტყის გვერდით ლურჯი მოლიველი ანკარა ტბა ჩანდა. სულ წინ კი, იქვე ახლოს, სადაც რამაზისა და მანანას საწოლია, ორი ლაღი ირემი წიწწნიდა პალახს. მესამე, ახლად რქებატოტილი ცისფერთალებმა ირემი ტბას მისდგომოდა და ანკარა წყლით იგრილებდა პირს.

დილით სიხარულის ყიყინა მოგვესმა: — არ შეჰქამა!.. დედიკო, მამიკო. ბიკო რამაზ... გადარჩა ირემი... გადარჩა! გალენძებული რამაზი ვქვის თვლით დაატყურდა კედლის ახალ ხალს, მანანა კი გაიძახოდა:

— გადარჩა აი, ეს ირემი, აი, მისი დედიკო, აი, მისი მამიკო!—და გახარებული თითს ხან ერთს, ხან მეორე ირემს ადებდა.

რამაზმა ერთ ხანს ისევ უტყირა, უტყირა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— გადარჩენილა, ხომ იცი!



ნახატები ზ. ლეჟავასი

ალმასის

ცული

ზღაპარი

ერთ ლატაკი გლეხი მდინარის პირას ხესა სჭრიდა ცულით; უცბად ტარს წასძვრა ცულის პირი, წყალში გადაინა დგაფანი და ჩაიძირა.

გლეხი საცოდავად ატირდა.

— ვაი, უბედურო ჩემო თავო, რაღა მეშველება მე ბედშავს! — მოთქვამდა საწყალი, — როგორღა მოვჭრა ხე? უშეშოდ როგორ შევიინახო ოჯახი?

ამ დროს გლეხს ფეხის ხმა შემოესმა: ბრაგ-ბრუგ, ბრაგ-ბრუგ! და ტყიდან გამოვიდა ჯუჯა ბერიკაცი: წვერის ნაცვლად რუხი ხავსი უცანცარებდა, უღვაშებად ფიჭვის წიწვეები ჰქონდა გამოშფერილი, ცხვირის ნაცვლად ნაძვის კინკრიჟა აჯდა.

— რა გატირებს, შეკაი კაცო, თავს რად იკლავ? — შეეკითხა ბერიკაცი.

— აბა, როგორ არ ვტირო, ცულის პირი



წყალში გადამივარდა. რითღა მოვჭრა ხე, რითღა ვარჩინო წვერილი ცოლშვილი? — უპასუხა ლატაკმა.

— შენს გატირვებას ადვილად ეშველება! — დამშვიდა ბერიკაცმა, გაიხადა მწვანე კურტაკი, გაიძრო ხის ფეხსაცმელი და წყალში ჩაიყურყუმელავა.

ლატაკმა ცრემლის მოწმენდა ვერც კი მოასწრო. რომ ბერიკაცმა ამოყვინთა. ხელში ოქროს ცული ეჭირა.

— აჰა, წაიღე. ეს ხომ შენი ცულია?

— არა, ეგ ჩემი არ არის! — მიუგო ლატაკმა.

ბერიკაცმა ხელახლა ჩაყვინთა. ისევ ამოყვინთა და ლატაკს ვერცხლის ცული გაუწოდა.

— შენია?

— არა, ჩემი არ არის, — უპასუხა ლატაკმა.

ბერიაცმა მესამედ ჩაყვინთა. რკინის ცული ამოიტანა და ჰკითხა:

— ეს ხომ შენია?

— ჩემია, ჩემი!—გაუხარდა ლატაკს, ხელი დაავლო ცულს და შინ წასვლა დაპირა, მაგრამ ბერიაცმა შეაჩერა:

— დიცა, ეს ორი ცულიც წაიღე. რაკი ხარბი და გაუმძღარი არა უოფილხარ!

— თუ ეგრეა, მადლობის მეტი რა მეტქმის, შენს სიკეთეს სიკვდილამდე არ დავიწყებ, — უპასუხა ლატაკმა.

წავიდა შინ ლატაკი. მხარზე გაიღო სამივე ცული: ოქროსი, ვერცხლის, რკინისა. და გაუდგა გზას.

მაგრამ სხვისი ბედნიერების მოშურნე განაცოტა ამქვეყნად! მდიდარმა მეზობელმა გაიგო ეს ამბავი და იფიქრა: მოდი, წავალ მდინარეზე, იქნებ ბედმა მეც გამიღიმოსო. აილო რკინის ცულის პირი, მსუბუქად ჩამოაცვია ხის ტარზე და გასწია ტყეში.

მოვიდა სწორედ იმავე ადგილას. მოი-

ქნია ცული და ხელში ცარიელი ტარიღა შერჩა.

— ვაი, ჩემს გაჩენას. ეს რა უბედურება მომივიდა!—წამოიძახა მდიდარმა.

ამის თქმა იყო და იქვე ახლოს ფეხის ხმა გაისმა:—ბრაგ-ბრუგ, ბრაგ-ბუგ! ტყიდან ის კოკლი ბერიაცი გამოვიდა: წვერის ნაცვლად რუხი ხავსი უცანცარებდა, უღვამებად ფიჭვის წიწვები ჰქონდა გამოშვარილი. ცხვირის ნაცვლად ნაძვის კინკრითა აჯდა.

— რა გაყვირებს, —ჰკითხა ბერიაცმა, — ვის ეწია უბედურება ჩემს ტყეში?

— მე ვიყვირე, —უპასუხა მდიდარმა, — მე მეწია უბედურება. ხეხა ვჭრიდი და უცბად ბუჰ!—ტარს ცულის პირი წასძვრა და პირდაპირ მდინარეში ჩავარდა. ვინღა ამომიტანს?

— მე ამოგიტან!—უპასუხა ბერიაცმა. გაიხიდა მწვანე კურტაკი, გაიძრო ხის ფხსაცმელი და წყალში ჩაიყურუშმელავა.

წყლის ზედაპირზე ჯერ ისევ ლივლივებ-

ბ. კაჭხიძე

მიხვდა

— არა, დედა, არ დავწვები. არ აშალო საბანი, ჯერ ეს ლექსი წამიკითხე. მერე —რამე ამბავი. — დედაც ჯდება და კითხულობს: «იყო ერთი ლევანი, მეგობრებზე უფრო ცელქი. უფრო დაუღვარი. — წამიკითხეთ! — გაჰყვიროდა, წიგნს გაშლიდა, ჯდებოდა. უკითხავდნენ, და წაკითხულს ერთხელ არ მოყვებოდა. ბევრს ვჯობნიო, —იკვებნიდა. ბევრის მჯობი ვერ იყო...» — ის ლევანი, — ბავშვს წამოსცდა. — მე ხომ არ ვარ, დედიკო?!

ჯ. ნიჟარაძე

მხენიბელი

— ბიჭო დათო, დათუნი, რა საქმით ხარ გართული? — ვერა ხედავ, სახლს ვხატავ, არის ხუთი სართული. — მერე სახლი რად გინდა. ბიჭო დათო, დათუნი? — მაშინ, როცა გავხდები მშენებელი განთქმული. ასეთ სახლს ავაშენებ. მაქვს ტოლგებთან დათქმული. — ასე დიდი შენობა რალად გინდა. დათუნი? — ვერ მიხვდით. სახლს რად ვხატავ მაღალ სართულებიანს?! ჩურჩხელაში დავპირდი ჩემს საყვარელ ბებიას.

და ტალღები, როცა ბერიკაცი კვლავ გამოჩნდა. ხელში რკინის ცული ეჭირა.

— შენია?—ჭკითხა მდიდარს.

— არა, ეგ ჩემი არაა,—უპასუხა მდიდარმა.—ჩემი უკეთესი იყო!...

ბერიკაცმა ისევ ჩაუვინთა, წულიდან თავი ამოჰყო და მდიდარს ვერცხლის ცული გაუწოდა:

— იქნებ ეს არის შენი?

— არა, არც ეგ არის, ჩემი მაგაზე უკეთესი იყო!—მიუგო მდიდარმა.

ბერიკაცმა მესამედ ჩაუვინთა, ახლა ოქროს ცული ამოიტანა და ჰკითხა:

— შენია?

— ჩემია, ჩემი!—სიხარულით შესძახა მდიდარმა,—შორიდანვე ვიცანი, ჩემია!

მაგრამ ბერიკაცმა ცული არ მისცა და ასე უთხრა:

— იქნებ შეცდი. იქ, მდინარის ფსკერზე, კიდევ ერთი ცულია—ალმასისა. შეიძლება ის არის შენი?

— ჰო, მართლა, კინალამ შევცდი, ეგ ოქროს ცული ისე ლაპლაპებს მზეზე, რომ ალმასისა მეგონა,—უთხრა მდიდარმა.

ბერიკაცმა ააცანცარა წვერი და წყალში ჩაუვინთა. ოქროს ცულიც თან ჩაიტანა.

ჩაუვინთა და აღარც გამოჩენილა.

მდიდარი კი დღემდე მდინარის პირას კუნძულზე ზის და ელოდება, ბერიკაცი ალმასის ცულს ამომიტანსო.

ჩეხურიდან თარგმნა შ. გვინჩიძემ



ჩემი რაში

მ. კახიძე

ქალაქიდან მამამ მომიყვანა კვიცი, არც ქიხვინი იცის, არც სირბილი იცის. გამოენახე თავლა, მისი შესაფერი, დავუყარე თივა, დავუყარე ქერი. არ გადადგა ბიჯი, არ გავიდა ხვეწნა.

გავწიწმატდი ბიჭი, გადავარტყი წყებლა. ვერ ვაშორებ ადვილს, ფეხებს ვუბაკუნებ, არც კი აბარტყუნებს წამოცქევეტილ ყურებს. გამოვვარდი კარში, გავებუტე ჩვენებს, რისთვის მინდა რაში, თუ ვერ გავაქენებ?!




გამოცანები



რკინის ჯაგუშანი აცვია. უხეგბა რკინის ქამარიც, კაკაღს ქამს—თავგი არ არის, თავგს იჭერს—კატა არ არის.



ღიღთავა და დიღთავაღება ფულურში იმაღება!



სახლში ღრი ქვის ძმა მყავდა ღზინის და ჭირის ტადკვესად, სხვადასხვა მხარეს დარბოღენენ, ერთს მიკეთებდნენ საქმესა.

მ. აიფინაძე

სახუმარო

ილია სიხარულიძე

უკვე თვეა, ნუგბარი გახდა პირველკლასელი; სიხარულით არ ახსოვს საკმედი და სასმედი. სკოლიდან რომ ბრუნდებდა, უმცროსი და კარს უღებს, ეტყვის: „კლასში რა გითხრეს— და შენ რა უბახუხე?!“ — იცი, დღეს მე რა მკითხეს,— ეუბნება ნუგბარი: — „კლასში პუნს რატომ სკამო?!“ — მშობი-მეთქი, ვუთხარი!





ნ. კონიალუკასიანი

ამბავი ჭიანჭველისა და გოღიათისა

ნახატები მ. როინიანიძისა

1
სად არ იყო, სად არა
ჭიანჭველამ პატარამ,
ცელქმა და კაფანდარამ
მოიარა დიდრონი
ბევრი შთა და მინდორი
და იპოვა მწერები—
მშები ჭიანჭველები.

სასლი დახვდა ახალი,
ლამაზი და მაღალი,
კვლემშემოსატული
ოცდასამი სართული:
მოწყობილი მარანი,
აბანო და საწყობი,
უამრავი ტაღანი,
სამრეცხაო,
საცხობი.

მათ არ დაეწყებიათ
არც საბავშვო ბაღები.
ამ ბაღებში ერთად ჰუავთ
ჭიანჭველა-ბაღლები.

ვევლას შესაფერი აქვს
კვარიცა და სახელიც.
სანოვავეც ბუერია,
მუდამ თავზე საერული.
მროსვდა ჰუავთ მუწველი
და თსა მისი შემცველი...
უკვართ ჩაი რძიანი,
ვევლიცა და კარაქიც
და დგას მუდამ მზიანი
მათი ციხე-ქალაქი.

ერთი შრომობს ვევლასთვის
და ვევლა კი ერთისთვის,
არათფერი არა შურთ
თურმე ერთმანეთისთვის.
ტკბილად ცხოვრობს უოჩადი
მათი დიდი ოჯახი.
თუ საპალნე დიდია,
ერთს კი არა ჰკიდება—
ვევლა მიესმარება,
დარაზმულნი შიდაიან.
მათ ჰუავთ კარისკაცებიც,
ნია ჯარისკაცებიც;
ჭიანჭველაც პატარა,
ცელქი და კაფანდარა,
უკვე ჯარისკაცია,
ფხვთ ჩექმები აცვია,
ის მსუნა და გულადი,
აი—მისი სურათი.

2

ასე იდგა მაღალი
სასლი ახალთახალი.
ფუსფუსებდა მშრომელი
სხლსი დაუდგრომელი.


მაგრამ ვიღაც გოლიათს
გული ცვლი ჰქონია.
ერთხელ გზად ჩაიარა,
ჯოხი დატრიალა
და ის სასლი ამარამ
ამოლა და დაშალა.

ატედა ერთი წრიალი,
რბუნა, ორომტრიალი.
ასმურდა დაფდაფი,
ჩაქრა ვევლა ლამპარი,
და ჩაინგრა სარდაფიც,
მათი თავშესაფარი.
აღარ იყო სამველი,
წიოკობდნენ ბაუჭეები.
წუწუნებდნენ ნაცემი
ჩია ჯარისკაცები:

—ჩავევრდითო ურვაში,
მეგვირცხვათ უვავაში.
რა უნდოდა ბუმბარასს,
რა ქარამ დაუბერა,
დაჯინგრია სასლ-კარი,
ამას ვვლარ ავიტანთ!—
და დიწვეს სასწრაფოდ
ამენება თავიდან.

3

აი, შიაკეთ მშენებლებს
უამრავი მასკლდა.
წუთით არ ისვენებენ,
რას ზიდავენ, რას არა.
ვევლა დატვინულია
ქვა-ღორღით და წნელებით,—
რიგში ჩამწყრივებულან
მუშა ჭიანჭველები.





მირბინა მუშეთან
ჭიანჭველამ პატარამ,
და ანობა სასწრაფოდ
მარჯვემ და კაფანდარამ:
«ტყეში, აქვე, ხის მირას,
იცი, თურმე ვის მინახს?
თავს წავადექ გოლიათს,
ვიცან მისი მარჯალი,
ჯოსიცა და ხელუბიც
და უველასე მტარჯალი
დიდი ფესხანქმულები!
დავესიოთ სასწრაფოდ,
ჭკუა უნდა ვასწავლოთ.
აბა, როგორ დავინდობთ
ჩვენს მტერსა და ავისმდომს!»
შეადგენ ჭიანჭველანი,

ღირაზმუნე უველანი.
იმ აუხაე გოლიათს
დაესია ლაშქარი:
— გასსოვს წისლი დაჯვარი,
დაგვინვრიე სახლ-ჯარი,
სხვის შრომას არ აფასებ,
უწესო სარ ნამდვილად,
რასეც არ გეწავლია,
გაიმეტე ადვილად?!
ვითომ რაკი დიდი ხარ,
ფესს გავდგამ და მიდისარ?
რას გვეროდი პატარებს,
რაც ჩვენ მამინ ვიწვალეთ...
ახლა ნიშნად ატარე
ჩვენი ნესტრის სიმწვავე...
უველა ჰებუნდა გოლიათს,

ოპ, რა ძალა ჰქონიათ!
სტუნახს, ტირის, ბურღლუნებს,
ველარ ითვლის ლუღლებს,
აუვარდა ქავილი
და მოჰკურცხლა ბღავილით.
შიში მიატეუნება
ნაბრძოლს ჭიანჭველებთან.
რათ, როგორ გებრიათ,
ვის ვეძისი გოლიათს?
მამ უველანი იცნობდეთ
ამის მერე იცოდეთ,
განა დიდი ხნისა,
ჯერ სულ შეიდი წლისა,
თქვენი ტოლი ბიჭია!
პაწაწინა ბიჭია!

თარგმანი ვ. გვიაშვილისა

ყ დის მხატვრობა გუთუნის შ. ხსაღაძის

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. საზრდადკით ქოლგია: ი. გრიშაშვილი. კ. გოჭიაშვილი. მ. ბაყვალა მრველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე. ნ. უნაეთიშვილი. შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბავშვების რედაქტორი ფაილი შანი 2 მან.




ტექ. რედაქტორი ი. არღიშვილი რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბავშვო, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლანეტის ქროზი, 81, ტელ. 3-27-28. გამომცემი: შუკა-18 547. სტამბის შუკა-18 2672. ტირაჟი 28000 № 87741 ხელმოწერილია დასაბამად 11/11/1958 წ. ვარჩხი დახვლილი ლითონისგან ხელის ფარკამ. Д И Л А - ежеквартальный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина № 1. Янврей 1959 г. Тбилиси. Пресс. Пастянова 91.

6. 14/72

სკუმრად

ნახატები ი. ბაბაშვილისა



ციყვთან

ა. მელქიანი

ციყვი ხის ფულუროში დაბინავდა, შვილებს თბილად ჩააცვა, კარი ჩაკეტა, ურდული გაუყარა და საახალწლოდ თხილის გარჩევას შეუდგა.

ღილით მოფრინდა ერთი ყვავი, ტოტზე დაჯდა და დაიჩხავლა:

— ყვა-ყვა! კარი გამიღე!

— ყვა-ყვა! არ გაგიღებ! — უპასუხა ციყვმა.

— ყვა-ყვა! მაშინ ფეხს მოვიტეხ, — თქვა ყვავმა.

— ყვა-ყვა! თუ გინდა, კისერიც მოიტეხე! — გამოსძახა ციყვმა.

მაგრამ ყვავი ქვეინი იყო, არც ფეხი მოიტეხა და არც კისერი. ადგა და გაფრინდა.

— კაკ-კუკ! — გაისმა შუადღისას კარებზე კაკუნი.

— კაკ-კუკ! ვინა ხარ? — გამოსძახეს შიგნიდან.

— კაკ-კუკ! წიწკანა ვარ, კარი გამიღე. გვეყინე, მეტი აღარ შემიძლია! — უპასუხა ჩიტმა.

ციყვმა ქუქრუტანიდან გამოიხედა, საბრალო წიწკანა რომ დაინახა, კარი გაუღო და შინ შეიპატიჟა.

სალამოს მოფრინდა ბუ და წაიდუღლუნა:

— უ-ჰუ! უ-ჰუ! კარი გამიღე!

— უ-ჰუ! უ-ჰუ! არ გაგიღებ!

— უ-ჰუ! უ-ჰუ! მაშინ მარჯვენა თვალს მოგიფრინო.

— თუ გინდა, მარცხენაც მოითხარე!

ბუ გაბრაუნდა, მაგრამ არც მარჯვენა თვალი დაუხსრია და არც მარცხენა. ადგა და გაფრინდა.

ციყვი კი იჯდა თავის სახლში, თხილს არჩევდა და თან პატარებს ასწავლიდა:

— შეილებო! მტერსა და მოყვარეს გარჩევა უნდა. ყოველ სტუმარს რომ სახლის კარი გაუღოთ, მალე თვითონვე ამ კარში გაგრეკავენ.